თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

ხმა მიეცით სწრაფ განვითარებას!

41

კობა ნარჩემაშვილი

დიმიტრი მხეიძე

გენადი მარგველაშვილი

№19 (758) 19 - 22 ოქტომბერი, 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

ცესკომ პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი არჩევნების თარიღები გამოაცხადა

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განსაზღვრა მეორე ტურების და განმეორებითი კენჭისყრის შესაძლო თარიღები.

8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მეორე ტურები 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება.

რაც შეეხება განმეორებით კენჭისყრას, 22 ოქტომბერს ჩატარდება. №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეული) გაიმართება პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნები, ხოლო №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდი) - როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.

ცესკო სამართლებრივ აქტებს გამოსცემს, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ.

ქუთაისში ისტორიული შენობა „უპატრონობის“ გამო ჩამოინგრა

გასულ კვირაში ჩვენ ინტერნეტგამოცემა www.psnews.ge-ზე ვწერდით, რომ ქუთაისში, გალაკტიონის ქუჩის ორ ნომერში მდებრე ორსართულიანი შენობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებდა, რადგან მისი აივანი ჩამოშლის პირას იყო. ასევე დავსვით კითხვა: ვინ აგებს პასუხს, ისტორიული შენობა რომ ჩამოინგრეს და მსხვერპლი მოჰყვეს?“

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სუპერ-მარკეტი და საცხობი, აქვე მდებარეობს საზოგადოებრივი მოსაცდელიც. მოკლედ ადგილი,სადაც შენობა მდებარეობს, საკმაოდ ხალხმრავალია.

როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ეს შენობა ადრე სახლი იყო და აქ ოჯახი ცხოვრობდა. მისმა ახლნდელმა მეპატრონემ კი ის კომერციული მიზნებისათვის შეიძინა. მას სურდა, შენობის გარემონტება, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს, რადგან ეს სახლი წითელ ხიდთან არსებული სხავა შენობების მსგავსად, ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შესული და მისი იერსახის შეცვალა მხოლოდ მერიის შესაბამისი სამსახურის კომპეტენციაო.

მერიამ ეკონომიკის სამინისტროსთან და კერძო მეპატრონესთან გადაგვამისამართა, რადგანაც პირველი სართული ეკონომიკის სამინისტროსია, ხოლო მეორე - კერძო პირისო... ამასობაში კი, გუშინ უკვე შევიტყვეთ, რომ აივნის ნაწილი ჩამოინგრა და ამჟამად დემონტაჟი მიმდინარეობს. საბედნიეროდ, აივნის ჩამონგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

რამდენად კანონიერად გაკეთდა დემონტაჟი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე და რა ბედი ელის ამ შენობას, ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ქუთაისის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, ბაქარ ჭეიშვილს: „ამ შენობის მეორე სართულის აივნის ჩამონგრევის შესახებ ჩემთვის ცნობილი გახდა გუშინ, ნაშუადღევს, თავად მეპატრონისგან. ჩემთვის ცნობილია, რომ რადგან ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მათ გამოიძახეს საპატრულო პოლიცია ფაქტის დასაფიქსირებლად, რომ შემდეგ კანონის შესაბამისად მოეხდინათ დემონტაჟი. ინფორმაციას ასევე მიაწოდებდნენ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს.

აქვე განგიმარტავთ, თუ რას ითვალისწინებს კანონი ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 52-ე მუხლში ნათქვამია, რომ თუ მესაკუთრისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი საკუთრება საფრთხეს უქმნის მესამე პირების სიცოცხლეს/ ჯანმრთელობას, იგი ვალდებულია, მიმართოს შესაბამის ორგანოებს და შემდეგ მისი ვალდებულებაა, ტავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს უსაფრთხოების ზომები. მესაკუთრეს ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ განახორციელებს ზემოთაღნიშნულ ღონისძიებებს. პასუხისმგებლობა კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შემთხვევაში - 5000 ლარის ჯარიმაა.“

„P.S.ფოტო“ (ლიკა დევდარიანი) ©

რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ შენობის მეორე სართულის მეპატრონე ზელიმხან გიორგაძეა, რომელმაც ამჟამად თავისი ხარჯებით მოახდინა დემონტაჟი, თუმცა ასევე გვიჩნდება კითხვა: მაინცადამაინც უნდა ჩამონგრეულიყო შენობა, რომ მეპატრონეს ეგრძნო ის საშიშროება, რომ მისი საკუთრება სხვას საფრთხეს უქმნიდა? მსხვერპლი რომ მოჰყოლოდა, პასუხისმგებლობის ტვირთს როგორ იტვირთავდა? სწორედ ჩამონგრევამდე ხომ არ უნდა განხორციელებულიყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები? ამ და სხვა საკითხებზე, რაც ამ ისტორიულ შენობას უკავშირდება, კვლავ მოგაწვდით ინფორმაციას უახლოეს ნომრებში.

ნატო გუგელაძე,
ლიკა დევდარიანი

უნივერსიტეტის სტუდენტების პროტესტი ქუთაისში – „ჟურნალისტიკა პროფესიაა და არა – მიმართულება“

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები, რომლებიც ინტეგრირებული პროგრამით გადიან სასწავლო კურსს, ყოველთვის პროტესტს გამოხატავდნენ ჟურნალისტიკის მიმართულებაში შემავალ საგნებზე და იმაზე, რომ მათ არ აქვთ მაინორ პროგრამა. ამ მხრივ არც წლევანდელი თაობის სტუდენტები აღმოჩნდნენ გამონაკლისი.

ჟურნალისტების ახალი თაობის წარმომადგენლები რექტორს შეხვდნენ და მას თავისი მოთხოვნები გააცნეს. სტუდენტები ითხოვენ ჟურნალისტიკის, როგორც სპეციალობის, ცალკე გამოყოფას სოციალური მეცნიერებების ინტეგრირებული პროგრამიდან.

დღევანდელი შეხვედრის დეტალებზე გვესაუბრა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პირველი კურსის მაგისტრი **ვახტანგ კაჩუხაშვილი**, რომელსაც ბაკალავრი ინტეგრირებული პროგრამით აქვს გავლილი. შესაბამისად, აღნიშნულ პრობლემას კარგად იცნობს. ის დღევანდელ შეხვედრასაც ესწრებოდა.

„დღევანდელი შეხვედრის მიზანი ჟურნალისტიკის სპეციალობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება იყო. თუმცა, ფაქტია, რომ ის პრობლემები, რომლებიც 4-5 წლის წინ იყო, ახლაც უცვლელია.

ყველაზე მეტად, რაც ახალი თაობის ჟურნალისტებს ადარდებთ, ეკონომიკისა და პოლიტოლოგიის სალექციო კურსებია, რომლითაც მათი ცხრილი სრულიად გადატვირთულია.

ამავდროულად, ისინი ამ საგნებს სოციალურ მეცნიერებებთან არაადაპტირებული წიგნებით გადიან, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ეკონომისტიც და ჟურნალისტიც ერთი და იგივე ენით დაწერილი წიგნით სწავლობს.

რექტორი სტუდენტებს დაპირდა რომ სიტუაცია აუცილებლად შეიცვლება.

წამოიჭრა ლაბორატორიის პრობლემაც. ჟურნალისტები ითხოვენ სამონტაჟო ლაბორატორიის პირველ კორპუსში მოწყობას, რადგან ამჟამად არსებულ ფართში არ არის პირობები ტექნიკისთვის. ოთახი არის აქტიური მზის სხივების ზეგავლენის ქვეშ, რაც დააზიანებს აპარატურას.

პრობლემების მოგვარებას შეგვპირდნენ და იქეთ კვირაში შეხვედრა დავთქვით“.

ჟურნალისტიკის მიმართულების ერთ-ერთმა ბაკალავრმა, ჩვენთან დღევანდელი შეხვედრა ასე შეაჯამა: **„რექტორმა ჩვენი ყველა მოთხოვნა თუ პრეტენზია მოისმინა და პრობლემის მოგვარებას შეგვპირდა. მასთან ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, საგნებზე , რომლებსაც ვსწავლობთ და არ უნდა ვსწავლობდეთ, მოდულებზე სტუდენტების არაკანონიერად გადანაწილების შესახებ, დაპირებებზე, რომლებიც არ სრულდება და ასე შემდეგ. იმ შემთვევაში თუ რექტორი დროის გაყვანის მიზნთ რამეს დაგვპირდება და არ შეასრულებს, ჩვენ დავიწყებთ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს.“**

უნივერსიტეტის რექტორმა **გორგი ღავთაძემ** კი განაცხადა, რომ სტუდენტების მხრიდან წამოსული დასაბუთებული არგუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

სტუდენტების მოთხოვნების ლოგიკურობის შეფასება ვთხოვეთ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა დეკანს **აკაკი ბაკურაძეს:**

„2011 წელს, როდესაც პროგრამებმა გაიარა აკრედიტაცია, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წინასწარ იქნა მოკვლეული, თუ რამდენად შეძლებდა ამა თუ იმ სპეციალობის პროგრამა დამოუკიდებლად არსებობას.. კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამას არ შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა. ამიტომ მოხდა შეთანხმება ამ მოდულების გაერთიანების შესახებ, ეს არ ყოფილა ვინმეს ცალსახა გადაწყვეტილება, ეს იყო ყველას აზრი, იმ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსასვლელად.

თუ ჟურნალისტიკის დეპარტამენტი მოინდომებს ცალკე, დამოუკიდებლად გასვლას და ამ პროგრამის მომსახურე პერსონალი წარმოადგენს მათ მირ შემუშავებულ პროგრამას, რომელიც დააკმაყოფილებს აკრედიტაციის ეროვნული ჩარჩოს სტანდარტებს, ჩვენგან ექნებათ სრული მხარდაჭერა.

საერთოდ, მინდა, გითხრათ, რომ ახალი პროგრამების აკრედიტაცია 2017 წლიდან დაიწყება, მანამდე ძველი პროგრამა რცება ძალაში.

რაც შეეხება ეკონომიკის სწავლებასთან გამოთქმულ პრტენზიას — ჯერ ერთი, ეკონომიკა გაძლიერებულად არ ისწავლება.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

სახალხო დამცველის აპარატი ქუთაისელ ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტს სწავლობს

2016 წლის არჩევნებს თავისი მანდატის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატიც აკვირდებოდა. როგორ ჩაიარა არჩევნების დღემ იმერეთის რეგიონში ამის შფასება ვთხოვეთ სახალხო დამცველის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსს, ქალბატონ მადონა ბასილაძეს.

მან პირველად ჩვენი რედაქციისთვის სახალხო დამცველის აპარატის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც 90-ე უბანზე მოხდა.

– 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, როგორც კენჭისწყრის დღეს, ასევე, კენჭისყრამდე, წინასაარჩევნო პერიდოში, სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, იმერეთის რეგიონის 12 მუნიციპალიტეტში ვახორციელებდით მონიტორინგს, საამისოდ შექმნილი მობილური ჯგუფების მეშვეობით.

მადონა ბასილაძე

წინასაარჩევნო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში რამდენიმე განცხადება და ინფორამცია მივიღეთ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენაბას, საარჩევნო კამპანიის ხელშეშლას, მხარდამჭერებზე ზეწოლას და სხვა შემთხვევებს. რიგ შემთხვევებში საარჩევნო სუბიექტები მხოლოდ განცხადებით შემოიფარგლებოდნენ. თუმცა, ყველა ამ განცხადებასა და ინფორმაციაზე სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოში დღესაც მიმდინარეობს წარმოება, ინფორმაციისა და სათანადო მასალის მოძიება და გაანლიზება.

რაც შეეხება კენჭისყრის დღეს, ჩვენს მიერ განხორციელდა მონიტორინგი იმერეთის რეგიონის სულ 207 საარჩევნო უბანზე, მათ შორის, პენიტენციური დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში არსებულ N49 ქუთაისის საარჩევნო ოლქის N127 საარჩევნო უბანზე და აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის N54 ხონისსაარჩევნო ოლქის N30 საარჩევნო უბანზე.

პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში კენჭისყრის პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და რაიმე ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. მშვიდ ვითერაბში მიმდინარეობდა კენჭისყრის პროცესი სხვა დანარჩენ საარჩევნო უბნებზეც.

თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ქუთაისის N90 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ხმის დათვლის პრეროცესში, კენჭისყრის შენობის გარეთ, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების შესხებ, რა დროსაც ჟურნალისტებზე საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერების მიერ გამოყენებული იყო ფიზიკური ძალა, რაც მიუღებელია და დასაგმობია. ამ დროისთვის სახალხო დამცველის თანამშრომლები საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და ყველა მხარეს მოუწოდებდნენ, გაეცნობიერებინათ ამ პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა და სტაბილური გარემო შეენარჩუნებინათ. ჩვენ საკუთარი ინიციატივთ დავიწყეთ ამ ფაქტის შესწავლა.

ჩვენი მონიტორების მიერ არჩევნების დღეს ძირითადად გამოვლინდა საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნის, ცალკეულ უბანზე ჟურნალისტების დროულად დაშვების, საკონტროლო ფურცლის არასწორად შევსების, საარჩევნო უბანზე არაულფებამოსილი პირის ყოფნის, კომისიის საქმინობაში დამკვირვებლის უხეში ჩარევის, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან აგიტაციის შემთხვევები. მიმაჩნია, რომ ყველა დარღვევა ყურადსაღებია, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. ვფიქრობ, რომ დარღვევათა დიდი ნაწილი განპირობებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არასაკმარისი მომზადებით.

– რა რეაგირებას მოახდენს სახალხო დამცველის აპარატი ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობაზე? აისახება თუ არა ეს ფაქტი თქვენს ანგარიშში.

– როგორც უკვე აღვნიშნე, სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოში ამ ფაქტის შესწავლა დავიწყეთ. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ჩვენ აუცილებლად მივადევნებთ თავლს მიმდინარე გამოძიებას, სახალხო დამცველის მანდატის ფარგლბში. არჩევნებთან დაკავშირებით სახალხო დამცელი ამზადებს სპეციალურ ანგარიშს, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი დარღვევა და ფაქტი იქნება შესაბამისად ასახული.

ლიკა დევდარიანი

მდუმარე აქცია ქუთაისში

„მოგვეცით მუშაობის საშუალება", „თავისუფალი მედია შეზღუდვების გარეშე", „არა აგრესიას ჟურნალისტებზე", „მედია ზეწოლის გარეშე", „პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა დანაშაულია" - ამ მოთხოვნებით ქუთაისისცენტრალურ მოედანზე მდუმარე აქცია გაიმართა.

აქცია ქუთაისში მოქმედმა მედია საშუალებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაართეს.

მედიის წარმომადენლებმა ამ ფორმით ქუთაისის 90 - ე უბანზე მომხდარი ძალადობა გააპროტესტესტეს. ჟურნალისტები საქმის დროულ გამოძიებას და საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვენ.

„არა აგრესიას ჟურნალისტებზე, სწორედ ამ მიზნით შემოვუერთდი აქციას. ვფიქრობ, რომ ფაქტს სხვა-არასამთავრობოეებიც უნდა გამოეხმაურონ, რადგან მეოთხე ხელისუფლებას თავისუფლად მუშაობის საშუალება მიეცეს." - გვითხრა გვანცა თოთაძემ (RICDOG-ის გენერალური მდივანი).

აქციის შესახებ კომენტარი გააკეთა ტელეკომანია „იბერიის" ჟურნალისტმა ლევან ფანცხავამ, რომელიც 8 ოქტომბერს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა:

„წლების წინაც მახსოვს, მსგავსი აქცია გვონდა ამ ადგილზე, სადაც დღეს ვდგვართ, სამწხაროდ, იგივე მოთხოვნით. მოგეხსენებათ, 90-ე უბანზე განვითარებული მოვლენები არჩევნების ღამეს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, არა ქვს მნიშვნელობა, ეს იქნება პოლიტიკური თუ სხვა მხარე, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაამთავრონ ჟურნალისტებზე ზეწოლა, გვაცალონ ნორმალური მუშაობა, რადგან ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებიც ყველა ადგილიდან, სადაც მნიშვნელოვანი ამბავი ხდება, საზოგადოებას ვაწვდით ინფორმციას."

შეგახსენებთ, 8 ოქტომბერს 90-ე საარჩევნო უბანზე ჟურნალისტებს,სავარაუდოდ ,ქართული ოცნებისმხარდამჭერები დაუპირისპირდენენ,რა დროსაც ტელეკომპანიების: GDS-ის და „იბერიის" ტელეკამერებიდაზიანდა. ფაქტიდან 6 დღე გავიდა, თუმცა ჯერ რეაგირება არავის მოუხდენია,მიუხედავად იმის, რომ ძალადობაში მონაწილე პირები ნაწილობრივ იდენტიფიცირებული არიან. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

psnews.ge

რესპუბლიკელი ნატო ქათამაძე თავის ამომრჩევლებს: „მაზოხისტები ყოფილხართ და მე ვეღარაფერს გიშველით!"

რესპუბლიკელი მაჟორიტარობის კანდიდატი ნატო ქათამაძე სოციალურ ქსელში საჯარო პოსტს აქვეყნებს, სადაც ქალაქის მერიას "ნაციონალების" გამარჯვებას ულოცავს, ხოლო თავის ამომრჩევლებს დანანებით ეუბნება: "მაზოხისტები ყოფილხართ და მე ვეღარაფერს გიშველით!" გთავაზობთ სრულად მის სახალხო მიმართვას:

„ქუთაისის მერიას „ნაციონალების" გამარჯვებას ულოცავსნაციონალური მოძრაობის" გამარჯვებას გილოცავთ ქ.ქუთაისის მერია (Shota Murgulia), საკრებულო (უმრავლესობის ყველა წევრს) და ქუთაისის „ქართული ოცნება", თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ნაციონალები „გაგეცოცხლებინათ"...

თქვენ, მთელი 4 თვე ხმალამოღებული მებრძოდით მე საკრებულოს სხდომებსა თუ სხვადასხვა საჯარო სივრცეში ... გამიჩერეთ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ჩემს ოლქში იყო დაგეგმილი... მთელი ადმინისტრაციული რესურსი და „სახელმწიფო მანქანა" გამოიყენეთ ჩემს წინააღმდეგ... კარგად იმუშავეთ ჩემს „ჩაძირვაზე" და მიიღეთ

ნატო ქათამაძე

ის, რომ თავად ხართ ყელამდე ნეხვში ... გ(ი)ლოცავთ...

ყოჩაღ, მასე გააგრძელეთ... და როცა, მე-2 ტურში, აკაკი ბობოხიძე მოგიგებთ მაჟორიტარულ არჩევნებს, აი მაშინ დაინახავს პარტია „ქართული ოცნება" რა ბედოვლათი ადგილობრივი ხელისუფლება ჰყავს და ალბათ, მაშინ მაინც "მოგეკითხებათ"...

ამჟამად არაფერს ვწერ ნაციონალებსა და ბობოხიძეზე, დასაწერი ბევრია, „მეშინია" რამე არ „გამომრჩეს" (9 წელი მათი ოპოზია ვიყავი, "გასახსენებელი" ბევრი მაქვს) და ამის შესახებ შემდეგ... ახლა ერთს ვეტყვი ნაციონალებსა და აკაკი ბობოხიძეს : "„მასე გაგრძელეთ" ქუთაისელი „მეოცნებეები" მეტის ღირსები არიან...

რაც შეეხება N48 ოლქის (გამარჯვება, ძელქვიანი, უქიმერიონი, გუმათჰესის) ამომრჩევლებს: --კარგად შეინახეთ, არჩევნების დროს აღებული თანხები (რა მნიშვნელობა აქვს ვისგან აიღეთ) , როცა მოგშივდებათ, შეგცივდებათ, სამართალს ვერსად ნახავთ, ხელისუფლების ლანძღვას დაიწყებთ და ჩემთან მოხვალთ დასახმარებლად, მაშინ გადმოიღეთ ეგ ფული, შეათვალიერეთ და კვლავ შეინახეთ... 4 წელი უნდა "იკმაროთ"... ხელისუფლების „გახსენება" ხშიდად მოგიწევთ... მაზოხისტები ყოფილხართ და მე ვეღარაფერს გიშველით..."

უნივერსიტეტის სტუდენტების პროტესტი ქუთაისში — „ჟურნალისტიკა პროფესიაა და არა — მიმართულება"

პირველი გვერდიდან

მეორე, ეს სტუდენტები არ არიან ჟურნალისტიკის ბაკალავრები, ისინი არიან სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრიის სტუდენტები, რომლებიც უშუალოდ ერთვებიან საზოგადოების სოციალურ მართვაში. ამიტომ, აუცილებელიც კია, რომ მათ ისწავლონ ისეთი საგნები, როგორიცაა ეკონომიკა და სტატისტიკა."

შეგახსენებთ, ბოლო წლებში უნივერსიტეტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, ჟურნალისტიკის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გაუქმდა და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში საჯარო მმართველობასა და საერთაშორისო ურთიერთობებთან ერთ-ერთ მოდულად გააერთიანეს.

2012 წლის დასაწყისში ჟურნალისტიკის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი **გია ქობალიანი** ადმინისტრაციულიდან ჯერ აკადემიურ თანამდებობაზე გადაიყვანეს, შემდეგ კი პოლიტიკური ნიშნითა კადემიურ შვებულებაში გაუშვეს, დღეს ქობალიანი სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ბატონი გია და ჟურნალისტიკის დეპარტამენტში შემავლი სხვა პროფესორები ამ საკითხზე. ჩვენ ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას და მალე მათ კომენტარებსაც შემოგთავაზებთ.

გია ქობალიანი უნივერსიტეტის სტუდენტთა მოთხოვნებს გამოეხმაურა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტის სოციალურ მეცმიერებათა კოორდინატორი და ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ხელძღვანელი ასოცირებული პროფესორი გია ქობალიანი ასეთ კომენტარს აკეთებს:

„ნაწილობრივ გავეცანი სტუდენტების მოთხოვნებს და მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ.

2011 წლამდე მართლაც არსებობდა ჟურნალისტიკის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მაგრამ ეს გაერთიანების ცვლილება არ ყოფილა უნივერსიტეტის და დეპარტამენტის სურვილით გატარებული, ეს უფრო ზემოდან გადაწყდა.

2017 წლის იანვრიდან დაიწყება ახალი აკრედიტაცია, ჩამოვა ახალი ფორმები და თუ დავაკმაოფილებთ ამ სტანდარტებს, სასურველია, ჟურნალისტიკის დეპარტამენტი ცალკე ჩამოყალიბდეს.

ზოგადად, უნივერსიტეტი ისეთი ორგანიზმია, სადაც მთავარი ფიგურაა სტუდენტი, ამიტომ ლექტორებს და სტუდენტებს შორის უნდა იყოს სრული სინქრონიზცია, ერთობა.

ჩვენ რადგან სასწავლო დაწესებულება გვქვია, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ სტუდენტების ინტერესები, რათა ისინი კარგ სპეციალისტებად ჩამოალიბდნენ."

ლიკა დევდარიანი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ხმა მიეცით სწრაფ განვითარებას

41

კობა ნარჩემაშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ქუთაისის 49-ე ოლქში

მომავლის გეგმები

- დავეხმარებით მცირე და საშუალო ბიზნესს, ხელს შევუწყობთ ახალი ინიციატივების განხორციელებასა და მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში ადგილობრივების მაქსიმალურ ჩართვას;
- მიმდინარეობს ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის მეორე ფაზა, პროექტის ღირებულება 86 მლნ ლარია და მას აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტი 2018 წელს დასრულდება და მასში 200 ადამიანია დასაქმებული.
- ქუთაისში დაგეგმილია ქუთაისის წყალარინების სისტემების მოწესრიგება, მათ შორის, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროკავშირი ახორციელებს და მისი ღირებულება 100 მლნ ლარია. პროექტის განხორციელების შედეგად ქუთაისის საკანალიზაციო სისტემა სრულად მოწესრიგდება – 2017 წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება.
- 2016 წლის ბოლომდე 228 დევნილ ოჯახს ბინები ახალაშენებულ კორპუსებში გადაეცემა; ჯამში, ქუთაისში 25 თექვსმეტსართულიანი კორპუსი აშენდება, რომლებშიც ბინებს 2 000 დევნილი ოჯახი მიიღებს. მათგან ორი კორპუსის მშენებლობა (160 ბინა) 2016 წლის სექტემბერში დასრულდება;
- შენდება ქუთაისის ახალი ცენტრალური არქივის შენობა;
- მალე დასრულდება წერეთლის ქუჩის მიმდებარედ მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- განვახორციელებთ საპენსიო რეფორმას, სახელმწიფო პროგრამის – „ცხოვრება გრძელდება“ ამოქმედებით, პენსიონერებს დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს მივცემთ;
- 2020 წელს საქართველოში C ჰეპატიტის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- 2017 წლიდან სკოლის მასწავლებლის ხელფასი, საშუალოდ, 800 ლარი გახდება;
- ახალი სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დანერგვით, გავაუმჯობესებთ სწავლის ხარისხს, მეტად განვავითარებთ სასკოლო ინფრასტრუქტურას; უკვე მზადაა 8 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტები, რომლებიც მალე განხორციელდება;
- დაინერგება პროფესიული განათლების გერმანული მოდელი, გაჩნდება დასაქმების სათანადო შესაძლებლობა თითოეული კურსდამთავრებულისთვის;
- მოხდება 2013 წლის 1 იანვრამდე ჩადენილი საგადასახადო დანაშაულის სრული ამნისტია;
- წავახალისებთ ახალგაზრდულ ინიციატივებს, ვიზრუნებთ მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე.

დიმიტრი მხეიძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ქუთაისის 48-ე ოლქში

მომავლის გეგმები

- ავამოქმედებთ ქუთაისის ტურისტულ პოტენციალს. მხარს დავუჭერთ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ხელს შევუწყობთ საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარებას;
- დავაყენებთ მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირების საკითხს და ხელს შევუწყობთ სოფლებისთვის გაზის მიწოდების დაჩქარებას; დავასრულებთ გაზიფიცირებას;
- მოვაწესრიგებთ სანიაღვრე და წყალგაყვანილობის სისტემებს, რითაც ქალაქს დატბორვისა და დაბინძურებისგან დავიცავთ;
- დავნიშნავთ მუნიციპალურ ტრანსპორტს;
- ვიზრუნებთ არსებული საავადმყოფოს ბაზაზე რეგიონული სამედიცინო ცენტრის შექმნაზე;
- დაგეგმილია ქუთაისის წყალარინების სისტემის მოწესრიგება. პროექტის ღირებულება 100 მლნ ლარია. ქალაქის საკანალიზაციო სისტემა სრულად მოწესრიგდება;
- ქ. ქუთაისი წყალმომარაგების სისტემის მეორე ფაზა 2018 წელს დასრულდება და ქალაქი სრულად წყალუზრუნველყოფილი გახდება;
- ხელს შევუწყობთ ლუგელას ხეობაში ტურიზმის განვითარებას;
- შევქმნით სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და ჯანდაცვის ახალ ობიექტებს;
- განვახორციელებთ საპენსიო რეფორმას, სახელმწიფო პროგრამის – „ცხოვრება გრძელდება“ ამოქმედებით, პენსიონერებს დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს მივცემთ;
- 2020 წელს საქართველოში C ჰეპატიტის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- 2017 წლიდან სკოლის მასწავლებლის ხელფასი, საშუალოდ, 800 ლარი გახდება;
- ახალი სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დანერგვით, გავაუმჯობესებთ სწავლის ხარისხს, მეტად განვავითარებთ სასკოლო ინფრასტრუქტურას;
- დაინერგება პროფესიული განათლების გერმანული მოდელი, გაჩნდება დასაქმების სათანადო შესაძლებლობა თითოეული კურსდამთავრებულისთვის;
- წავახალისებთ ახალგაზრდულ ინიციატივებს, ვიზრუნებთ მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე;
- თვითმმართველობის მხრიდან ყველანაირი პირობა შეიქმნება კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის;
- მოხდება საქართველოს სრული ინტერნეტიზაცია.

გენადი მარგველაშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი 47-ე ოლქში ქუთაისი, თერჯოლა

მომავლის გეგმები

- დავეხმარებით მცირე და საშუალო ბიზნესს, ხელს შევუწყობთ ახალი ინიციატივების განხორციელებას და მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში ადგილობრივების მაქსიმალურ ჩართვას;
- მოხდება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, რეინვესტიციისა და საწარმოს გაფართოების შემთხვევაში, მოგების გადასახადისგან გათავისუფლება;
- ქალაქის ინფრასტრუქტურის (გზა, წყალი, გაზი, ელ. ენერგია) უმაღლეს დონეზე მოწესრიგება, რათა ქუთაისს, ამ უძველეს ქალაქს, XXI საუკუნეში ჰქონდეს საუკეთესო, გამართული კომუნალური მეურნეობები;
- მიმდინარეობს ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის მეორე ფაზა, პროექტის ღირებულება 86 მლნ ლარია და მას აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტი 2018 წელს დასრულდება.
- ქუთაისში დაგეგმილია ქუთაისის წყალარინების სისტემების მოწესრიგება, მათ შორის, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროკავშირი ახორციელებს და მისი ღირებულება 100 მლნ ლარია. პროექტის განხორციელების შედეგად, ქუთაისის საკანალიზაციო სისტემა სრულად მოწესრიგდება. იგი 2017 წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება;
- გაგრძელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და თითოეული ოჯახი სამედიცინო მომსახურებით სრულად დაკმაყოფილდება;
- 2020 წელს საქართველოში C ჰეპატიტის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- სახელმწიფო პროგრამის – „ცხოვრება გრძელდება“ ამოქმედებით, პენსიონერებს დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს მივცემთ;
- 2017 წლიდან სკოლის მასწავლებლის ხელფასი, საშუალოდ, 800 ლარი გახდება;
- ახალი სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დანერგვით, გავაუმჯობესებთ სწავლის ხარისხს, მეტად განვავითარებთ სასკოლო ინფრასტრუქტურას; უკვე მზადაა 8 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტები, რომლებიც მალე განხორციელდება;
- ქუთაისში დაფუძნდება და აშენდება ახალი ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური უნივერსიტეტი;
- განვავითარებთ ტურიზმს, შევქმნით მაღალი კლასის სასტუმროების ქსელს და გავაფართოებთ ტურისტულ ინფრასტრუქტურას;
- 2016 წლის ბოლომდე 228 დევნილ ოჯახს ბინები ახალაშენებულ კორპუსებში გადაეცემა; საერთო ჯამში, ქუთაისში 25 თექვსმეტსართულიანი კორპუსი აშენდება, რომლებშიც ბინებს 2000 დევნილი ოჯახი მიიღებს. მათგან ორი კორპუსის მშენებლობა (160 ბინა) 2016 წლის ბოლოს დასრულდება;
- მოხდება 2013 წლის 1 იანვრამდე ჩადენილი საგადასახადო დანაშაულის სრული ამნისტია;
- მოხდება საქართველოს სრული ინტერნეტიზაცია;
- წავახალისებთ ახალგაზრდულ ინიციატივებს, ვიზრუნებთ მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე.

გიორგი სამანიშვილი:

„რთველმა ძალიან მოწესრიგებულად და მშვიდ ვითარებაში ჩაიარა“

რთველი-2016 დასასრულს უახლოვდება

საქართველოში ნამდვილი ოქროსფერი შემოდგომაა... უკვე ღვინობისთვეა, რთველის სეზონი კარგა ხანია, შუაწელს გადასცდა და დასასრულისკენ მიდის. ამიტომ შევეცადეთ, თვალი გადაგვევლო რთველის მიმდინარეობისათვის და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან, ბატონ გიორგი სამანიშვილთან ერთად, შეგვეჯამებინა იგი.

გიორგი სამანიშვილი

კახეთში, როგორც ყოველთვის, ყურძნის კრეფა ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს დაიწყეს. საკოორდინაციო შტაბი ტრადიციულად, წელსაც თელავში იყო და 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა. მას ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი სამანიშვილი ხელმძღვანელობდა.

როგორც ბატონმა გიორგიმ გვითხრა, კახეთის რეგიონში 110 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა. აქედან 63,5 ათასი ტონა რქაწითელი, 40,4 ათასი ტონა საფერავი, 2,9 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 30 ღვინის კომპანია, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული 3საწარმო და 27 კერძო ღვინის კომპანია. მათ მთლიანობაში, ყურძენი ჩააბარა 17 ათასზე მეტმა მევენახემ, რომელთაც ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით 95,6 მლნ ლარი მიიღეს.

„საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდირების სისტემა წელსაც იგივე დარჩა, გაიცემოდა პირდაპირ მევენახეებზე, ხოლო შემდეგ ისინი თავად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მათთვის სასურველ ღვინის მარნებთან ფასზე, გადახდის პირობებსა თუ ვადებზე“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

სუბსიდირება კი წელს ასეთი იყო: **კახეთის რეგიონი** - 1 კგ. რქაწითელი - 0,45 ლარი; 1 კგ. კახური მწვანე - 0,45 ლარი; 1 კგ. საფერავი - 0,20 ლარი; **რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონი** - მუჯურეთული/ალექსანდროული - 2 ლარი.

რთველი ამჟამად დასრულების ფაზაშია რაჭაშიც. ბოლო მონაცემებით, აქ გადამუშავებულია 257 075 კგ ყურძენი, მათ შორის, „სახვანჭკარე“ ჯიშები ალექსანდროული და მუჯურეთული - 255 323 კგ. გადამუშავებულია ასევე ძელშავის ჯიშის ყურძენი - 1752 კგ.

მევენახეებს 20 ღვინის კომპანია ემსახურებათ, მათ შორის, 1 სახელმწიფო კომპანიაა, ხოლო დანარჩენი - კერძო კომპანიები. გახსნილი იყო ყურძნის მიმღები 6 პუნქტი - 3 ქალაქ ამბროლაურში და 3 სოფლებში: ჭრებალო, ბუგეული და ხვანჭკარა.

რთველის საკოორდინაციო შტაბს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშიც, კახეთის ანალოგიურად, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ხელმძღვანელობს.

რაჭის შემდეგ რთველი ლეჩხუმში გაგრძელდება და სულ მალე უსახელაურიც დაიწურება...

-მაინც როგორი იყო წლევანდელი, შეიძლება ითქვას, რვაათასმეთქვსმეტე რთველი საქართველოში? რით იყო უკეთესი ან უარესი წინა წელთან შედარებით? _ ამ ერთგვარ შემაჯამებელ კითხვაზე ბატონი გიორგი სამანიშვილი გვპასუხობს:

„წელს რაოდენობრივად, შარშანდელთან შედარებით ნაკლები ყურძენი გადამუშავდა. გახსოვთ ალბათ, რომ წელს კლიმატური პირობები ვაზისთვის საკმაოდ არახელსაყრელი იყო, ბევრი წვიმიანი ამინდი გვქონდა, ამიტომ ყურძნის ხარისხობრივი კუთხით, მოსავალი ყველგან მთლად კარგი ვერ გამოვიდა, თუმცა მევენახეთა დიდმა ნაწილმა მოახერხა, დაავადებებისგან აეცილებინა ვაზი და საუკეთესო მოსავალიც მიეღო.

თვითონ რთველის მიმდინარეობის პროცესმაც ძალიან მოწესრიგებულად და მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საუკეთესოდ იყო ორგანიზებული ყველა ლოჯისტიკური საკითხი, რიგებიც კი არ ყოფილა არსად, ფაქტობრივად. ასევე აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, ჩაბარებული ყურძენი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხება და ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში ღვინის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტ-გვერდებზე: www.georgianwine.gov.ge, www.rtveli2016.gov.ge შეუძლია. დაინტერესებული პირებისთვის აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზიც - 1501.

შეიძლება ითქვას, რომ რთველი-2016 ერთ-ერთი წარმატებული, კარგად ორგანიზებული რთველი იყო.“

ნატო გუბელაძე

მესხიშვილის თეატრმა სეზონი და მცირე სცენა გახსნა

ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში 2016-2017 წლის სეზონი პრემიერით გაიხსნა. სპექტაკლი დაიდგა მატეი ვიშნეკის პიესის მიხედვით — „რა ვუყოთ ამ ვიოლონჩელოს“(Perpetuum Mobile), უჩვეულო იგავი ერთ მოქმედებად. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გიორგი თავაძემ, მასში მონაწილეობდნენ მესხიშვილის თეატრის გამორჩეული მსახიობები: მარიკა სამანიშვილი, გიორგი შალამბერიძე, თენგიზ ჯავახაძე და გიორგი ქართველიშვილი. სპექტაკლში გამოყენებული იყო ბახისა და ვივალდის მუსიკალური კომპოზიციები, მაყურებელთა ნაწილი სცენაზე მიჯდა, რაც დასწრების ეფექტსა და ემოციებს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

სცენა სპექტაკლიდან „რა ვუყოთ ამ ვიოლენჩელოს“

სცენა სპექტაკლიდან „დუპლეტი“

ჩვენ ვესაუბრეთ სპექტაკლის რეჟისორს, გიორგი თავაძეს: „ეს არის რუმინული წარმომავლობის, საფრანგეთში მოღვაწე, თანამედროვე დრამატურგის პიესა, რომელიც წარმატებით იდგმება ევროპის თეატრალურ სცენებზე. ვინაიდან მისი თემა არის უცნაური, აქტუალური და რაღაცნაირად ეხმიანება ჩვენს გაუსაძლის ყოფას, გადავწყვიტეთ, დაგვედგა აღნიშნული სპექტაკლი. მასში მონაწილეობენ მესხიშვილის თეატრის ძალიან კარგი, წამყვანი მსახიობები, რომელთა უმრავლესობასთანაც არაერთხელ მიმუშავია. ახალგაზრდა მსახიობ გიორგი შალამბერიძესთან კი პირველად ვიმუშავე და ვთვლი, რომ ის ძალიან ნიჭიერი მსახიობია. ზოგადად, ძალიან საინტერესო ჯგუფთან მომიწია მუშაობა და ურთიერთობა, მადლობა მესხიშვილის თეატრს. მედლობას ვუხდი მერიის კულტურის სამსახურს ფინანსური მხარდაჭერისათვის, მათი თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია მსახიობებისთვის, რათა მათ შექმნან ხელოვნების ნაწარმოებები.“

შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ სპექტაკლში მონაწილე ერთ-ერთ მსახიობს, გიორგი შალამბერიძეს: „ყოველთვის მნიშვნელოვანია, როდესაც ქართულ სცენაზე შემოდის თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოები. მატეი ვიშნეკი ძალიან საინტერესო დრამატურგია და ლიტერატურაც ასეთივე აქვს. რეჟისორ გიორგი თავაძესთან მუშაობა განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან მას აქვს განსხვავებული ხელწერა და მსახიობებთან მუშაობის სტრატეგია. ჩემს კოლეგებთან მუშაობაც თავისთავად სასიამოვნო იყო. ჩვენ არაერთ სპექტაკლში ვყოფილვართ პარტნიორები. რამდენად კარგად მოვიტანეთ ეს სპექტაკი თქვენამდე, ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტი და შესაფასებელია. როგორც ჩემთვის ცნობილია, ქალაქს კიდევ ორი პრემიერა და ზოგადად ძალიან საინტერესო სეზონი ელოდება.“

მესხიშვილის თეატრში განახლებული მცირე სცენა გაიხსნა სპექტაკლით „დუპლეტი“

„თავისუფლება ის ფასეულობაა, რომელიც მსხვერპლის ფასად მოიპოვება“ - ეს ფრაზა რეფრენად გასდევდა კოტე აბაშიძის მიერ ქუთაისში დადგმულ სპექტაკლს „დუპლეტი“, რომელიც პიესების: - ვ. ჰაველის „აუდენცია“ და ჰ. პინტერის „წასვლამდე“ - სინთეზით შეიქმნა.

როგორც რეჟისორი ამბობს, ამ ორი მსოფლიო მნიშვნელობის ავტორის პიესას სიუჟეტურად კავშირი არ აქვს, თუმცა, იდეურად და კონცეპტუალურად კვეთენ ერთმანეთს. ორივე პიესა გმობს ძალადობას, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შელახვას, როგორც პროგრესისაკენ მიმართულ მისწრაფებას, როგორც აბსურდამდე მისულ კატაკლიზმს.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: დავით როინიშვილი, ზვიად სვანაძე და ელზა სულაძე.

„ნებისმიერი სირთულე, პრობლემა იბადება ჩვენში. პირველ მოქმედებაში დაშვებული სისუსტეები და კომპრომისები მეორე ნაწილში იჩენს თავს და ბადებს დიქტატურულ სისასტიკეს.“ - განაცხადა რეჟისორმა კოტე აბაშიძემ.

თავისი პერსონაჟის მთავარი სათქმელის გადმოცემა ვთხოვეთ სპეკტაკლში მონაწილე ერთადერთ ქალს, რომელიც ტრაგიკულ პერსონაჟს განასახიერებს. „მე ვთამაშობ ქალს, რომელიც ოჯახის კეთილდღეობისა და სამშობლოსთვისაა თავდადეებული. ის ყველაფერს აკეთებს, საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად, მაგრამ როცა საქმე შვილს ეხება, აქ უკვე ყველაფერზე მიდის. ეს არის ღირსეული ქალის სათქმელი, რომლის ყველაზე დიდი სიძლიერე და სისუსტეც დედობაა,“ — ელზა სულაძე.

შეგახსენებთ, მესხიშვილის თეატრში მცირე სცენა და თეატრის საექსპოზიციო დარბაზი, სადაც ეწყობა ცნობილი მოღვაწეების ნახატებისა და ნივთების ჩვენება (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპონანტია კოტე მარჯანიშვილის სამუშაო მაგიდა), 2008 წელს გაიხსნა. მცირე სცენაზე სულ დადგმულია 9 სპექტაკლის პრემიერა, ასევე, სისტემატურად ეწყობა შემოქმედებითი საღამოები.

მცირე სცენის გახსნიდან 8 წლის მერე ის პირველად შეკეთდა, განაახლეს ინფრასტრუქტურა.

მცირე სცენამ თავისი მაყურებელი უკვე შეიძინა და მას სამომავლოდაც მრავალი საინტერესო გეგმა უკავშირდება.

ლიკა დევდარიანი

P.S.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას. Ω — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი. ● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge